

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს გურმანი ს/კ 445 571 391

ფინანსური ანგარიშგება 2 0 2 4 წლის 3 1 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

,

- შინაარსი: 1 ზოგადი ინფორმაცია.....
2. მომზადების საფუძველი.....
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები გამოწვეული მსსფასს-ზე გადასვლით.....
- 4 სააღრიცხვო პოლიტიკა.....
5. სრული შემოსავლის ანგარიშგება.....
6. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....
7. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....
8. განმარტებითი შენიშვნები.....

შესავალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „გურმანი“ საიდენტიფიკაციო
N:445571391

რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წლის 28 ნოემბერს .კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს
წარმოადგენს სარესტორნო და საკვებით მომსახურება.

იურიდიული მისამართია: ქალაქი ბათუმი, კობალაძის ქუჩა, N8ა, სართული 1, არასაცხოვრებელი
ფართი N8

ძირითად საქმიანობას ახორციელებს იჯარით აღებული ფართში მეიჯარე :ამირან ფარტენაძე-
პირადი 61006001003 – 101,88 მკვ

მეიჯარე თინა ვარშანიძე-პირადი 61006028033 -172,10მკვ

საქმიანობის ადგილი:ქალაქი ბათუმი, კობალაძისქუჩა, N8ა, სართული 1, არასაცხოვრებელი ფართი

კომპანიის 100% წილის მფლობელი და დირექტორი არის საქართველოს მოქალაქე
ფიზიკური პირი ამირან ფარტენაძე /61006001003/

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	67 329	95 694
საინვესტიციო ქონება	4	0	0
ბიოლოგიური აქტივი	5	0	0
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		0	0
		67 329	95 694
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	114 368	412 922
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	10 322	13 078
მარაგები	8	55 767	18 984
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	9	0	4 235
		180 457	449 219
მთლიანი აქტივები		247 786	544 913
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		0	0
გადაფასების რეზერვი		0	0
		0	0
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	0	0
ანარიცხები	11	0	0
		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	0	0
გადავადებული შემოსავალი	12	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	7 546	54 976
საგადასახადო ვალდებულებები	14	36 452	35 818
გადასახდელი პროცენტი		0	0
გადასახდელი დივიდენდი		0	0
		43 998	90 794
მთლიანი ვალდებულებები		43 998	90 794
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		43 998	90 794
შემოწმება		(203 788)	(454 120)

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება			
	Note	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	16	2 663 342	2 558 718
თვითღირებულება		(1 223 700)	(1 194 491)
		-	
საერთო მოგება		1 439 642	1 364 226
სხვა შემოსავლები	17	2 109	1 108
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(1 237 963)	(911 214)
მიწოდების დანახარჯები		-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	18	-	-
სხვა ხარჯები	19	-	-
		-	
საოპერაციო მოგება		203 788	454 120
ფინანსური შემოსავალი	20	-	-
ფინანსური ხარჯი	20	-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-	-
მოგება დაბეგვრამდე		203 788	454 120
მოგების გადასახადი		-	
		-	
პერიოდის მოგება		203 788	454 120
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	
		-	
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		203 788	454 120

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპზე და მოიცავს 2024 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია: მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათთან მიმდევრულ გამოყენებაზე; გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ეროვნულ ვალუტას - ლარს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 23 სექტემბერს.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი მიმოხილვა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით. ამონაგები შემცირდება მომხმარებელთა მიერ საქონლის დაბრუნების ფასდათმობისა და მსგავსი გამოქვითვების შეფასებული ოდენობით.

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს. მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და - შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ.

მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში

შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა აღიარდება, როდესაც შემოსავლის თანხის ოდენობა შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ და ამასთან სავარაუდოა, რომ კომპანია მიიღებს სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

ფინანსური ვალდებულებები :

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულება შედგება აღებული სესხებისა და სხვა სავაჭრო ვალდებულებებისა. კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს როდესაც შესრულდება ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებები. ხელშეკრულებას ვადა გაუვა ან მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეწყდება ხელშეკრულება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენ სპროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

ფინანსური აქტივები :

ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისგან, ფულადი სახსრების ექვივალენტებისგან და სავაჭრო მოთხოვნებისგან. ძირითადი გაყიდვები ხორციელდება სტანდარტულად დავა და გადაცილებაზე მყიდველს არ ეკისრება პროცენტი ან პირგასამტეხლო. ფულადი სახსრები მოიცავს ფულს სალაროში და კომპანიის კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები :

ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებებით, დაკლებული ცვეთით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება მოიცავს შეძენის ფასსა და მის შეძენასთან დაკავშირებულ უშუალოდ დაკავშირებულ ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად; ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამა ქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამა ქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტის სარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან

ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნთვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორცაა პირდაპირი შრომა და ნედლეული, და აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის პროცესში. გაყიდული (გამოყენებული) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების ხარჯად აღიარებისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდით.

კაპიტალი:

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც

საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ.
საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით

ფულადი დივიდენდები :

კომპანია აღიარებს დივიდენდის გადახდის ვალდებულებას და შესაბამისი თანხით მცირდება
კაპიტალი. როდესაც დივიდენდის განაწილება ნებადართულია და აღარ არის კომპანიის გადაწყვეტილების
საგანი. „მეწარმეთაშესახებ“ საქართველოს კანონით, დივიდენდების განაწილება ნებადართულია მაშინ,
როდესაც მას ამტკიცებენ მფლობელები.

შრომითი ანაზღაურება

ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, თანამშრომელს უკავდება
საშემოსავლო და საპენსიო გადასახადი, იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ;

იჯარა :

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ იჯარად,

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში.

შპს გურმანი-ს დირექტორი :

/ა.ფარტენაძე/



ბუღალტერი:



/ხ.ბოლქვაძე/